საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. მცხეთა "28" 11 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1614/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 14 ნოემბრის N 69680/03 განაცხადით კომპანია „ჯვ როიალ არმენია ლტდ"-ს (მის: 38 აპ3/26 დავიდაშენ 2, ერევანი, სომხეთი) წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ЧЕРНЫЙ МОЛОТЫЙ ПЕРЕЦ Open here ALWAYS FRESH THANKS TO ZIP LOCK RECLOSEABLE PEPPER Black ground" (რეგ. N 23093) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ЧЕРНЫЙ МОЛОТЫЙ ПЕРЕЦ Open here ALWAYS FRESH THANKS TO ZIP LOCK RECLOSEABLE PEPPER Black ground" (რეგ. N 23093) საქართველოში რეგისტრირებულია 28.11.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 28.11.2022 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ЧЕРНЫЙ МОЛОТЫЙ ПЕРЕЦ Open here ALWAYS FRESH THANKS TO ZIP LOCK RECLOSEABLE PEPPER Black ground" (რეგ. N 23093) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 146, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 28.11.2012).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანია „ჯვ როიალ არმენია ლტდ"-ს წარმომადგენელს დავით ზურაბიშვილს (მის: ნაფარეულის ქ. 18, ბ.7, 0179 თბილისი, საქართველო).